ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1149

ქ. ბათუმი, 05 სექტემბერი 2017 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და 126[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	საკონკურსო თანამდებობის დასახელება	ვაკანსიის რაოდენობა
1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
2	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი	1

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიას არაუგვიანეს 2017 წლის 11 სექტემბრისა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და ღია კონკურსის გამოცხადება, ხოლო 2017 წლის 16 ოქტომბრისა - ღია კონკურსის ჩატარება.

3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი